შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი

ქართული, როგორც მეორე ენა

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

გაითვალისწინეთ, რომ გამოცდა ხუთი ნაწილისაგან (მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი, პროფესიული ცოდნა) შედგება და წარმატების მისაღწევად საჭიროა ბარიერის გადალახვა ხუთივე ნაწილში.

ასევე აუცილებელია ბარიერის გადალახვა მთლიან ტესტშიც.

პასუხების ფურცელზე ამა თუ იმ დავალების გადატანის წესი თან ახლავს ყოველ დავალებას.

გამოცდის მაქსიმალური ქულაა 85, ხოლო ამ ტესტში მოცემული დავალებებისა – 74.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი და 30 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

I. მოსმენა (9 ქულა)

ყურადღებით მოისმინეთ ტექსტი. ტექსტს მოისმენთ ორჯერ.
ყოველი კითხვის ოთხ-ოთხი სავარაუდო პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი.
ტექსტის ჩანაწერის მოსმენამდე დავალების გასაცნობად გეძლევათ 45 წამი.
პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედებში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

(1) 1. თვითშეფასება არის:

ა) ადამიანებთან ურთიერთობის უნარი;
ბ) კონფლიქტის იოლად მოგვარების უნარი;
გ) საკუთარ შესაძლებლობებში გარკვევის უნარი;
დ) სტრესის მართვის უნარი.

(1) 2. არაადეკვატურად მაღალი თვითშეფასების მქონე ბავშვი:

ა) გადაჭარბებულად აფასებს თავის ძალებს;
ბ) გრძნობს უხერხულობას უცხო ადამიანთა გარემოცვაში;
გ) მარცხის შემთხვევაში მხოლოდ თავს იდანაშაულებს;
დ) სამართლიანად მიიჩნევს დამსახურებულ შენიშვნას.

(1) 3. რა უწყობს ხელს ბავშვის არაადეკვატურად მაღალი თვითშეფასების ჩამოყალიბებას?

ა) მასწავლებლის მიერ მისი ქცევის სწორად შეფასება.
ბ) საკუთარი წარუმატებლობის გაბედულად აღიარება.
გ) საკუთარ პიროვნულ თვისებებში კარგად გარკვევა.
დ) უფროსებისაგან ხშირად მისი დაუმსახურებელი ქება.

(1) **4. არაადეკვატურად დაბალი თვითშეფასების მქონე ბავშვი:**

ა) მუდამ ეჭვით უყურებს საკუთარ შესაძლებლობებს;

ბ) მუდამ მზადაა ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად;

გ) მუდამ სხვებს ადანაშაულებს თავის წარუმატებლობაში;

დ) მუდამ ყურადღების ცენტრში ყოფნას ცდილობს.

(1) **5. რა შეიძლება გახდეს ბავშვის დაბალი თვითშეფასების ერთ-ერთი მიზეზი?**

ა) მისი ზომიერი თავდაჯერებულობის განცდა.

ბ) საკუთარი შესაძლებლობების ზუსტად გაცნობიერება.

გ) საკუთარი წარმატებების ობიექტური შეფასება.

დ) წარუმატებლობით გამოწვეული იმედგაცრუების განცდა.

(1) **6. ბავშვის ადეკვატური თვითშეფასების უნარის ჩამოყალიბებაზე დადებით გავლენას ახდენს:**

ა) თანატოლების მხრიდან მისი მუდმივი კრიტიკული შეფასება;

ბ) მისი ოჯახის წევრებს შორის გულწრფელი ურთიერთობა;

გ) პედაგოგების მხრიდან ბავშვის სუსტი მხარეების ხშირი კრიტიკა;

დ) უფროსების მიერ ბავშვის პრობლემების გადაჭრაზე პასუხისმგებლობის აღება.

(1) **7. როგორ უნდა მოიქცნენ უფროსები, რომ ბავშვს ადეკვატური თვითშეფასება ჩამოუყალიბდეს?**

ა) მხარი აუბან მას თავის მართლებასა და სხვის დადანაშაულებაში.

ბ) შეაფასონ მისი მონდომება ნებისმიერი შედეგის მიუხედავად.

გ) შეუზღუდონ მას დამოუკიდებელი არჩევანის გაკეთების საშუალება.

დ) ხშირად მიუთითონ მას ხარვეზებსა და წარუმატებლობაზე.

(1) **8. მშობლებისა და პედაგოგების მიერ ბავშვის საქმიანობის უარყოფითი შეფასების შედეგად:**

ა) ბავშვი ზედმეტ მოთხოვნებს უყენებს საკუთარ თავს;

ბ) ბავშვს უკეთ უვითარდება ადეკვატური თვითშეფასების უნარი;

გ) დაბლდება ბავშვის მოტივაცია და თავდაჯერებულობა;

დ) იზრდება ბავშვის პასუხისმგებლობის გრძნობა.

(1) **9. ინტერვიუს მთავარი მიზანია გააცნოს მსმენელს:**

ა) რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანისათვის ადეკვატური თვითშეფასების უნარი;

ბ) რამდენად მნიშვნელოვანია საკუთარი თავისადმი მაღალი მოთხოვნების წაყენება;

გ) როგორ უნდა გამოუმუშავდეს ადამიანს მაღალი თვითშეფასების უნარი;

დ) როგორ უნდა მიაღწიოს ადამიანმა კარიერულ წარმატებას.

II. კითხვა (25 ქულა)

(9) ყურადღებით წაიკითხეთ რევაზ ინანიშვილის მოთხრობა „ცამეტი წლის ბიჭი“:

ცამეტი წლის ბიჭი დეიდასთან იყო სტუმრად. დეიდაშვილებმა აწყენინეს და, არავისთვის არაფერი უთქვამს, გამოიპარა. თავის სოფლამდე ოცდახუთ კილომეტრზე მეტი ჰქონდა გასავლელი, თანაც თოვლჭყაპში, იანვრის მოკლე დღეს. ორღობეები თავჩაღუნულმა გაიარა. სოფლის განაპირას შედგა, ერთი მიბრუნდა, მუქარითა და ბრაზით გახედა ნისლში მიკარგულ სახლებს და გამოიქცა. მორბოდა ზომიერი ნაბიჯით, მკერდთან აკრეფილი ხელებით. ეგონა, დიდხანს ირბენდა ასე, მაგრამ ნახევარი კილომეტრიც არ ექნებოდა გარბენილი და ქოშინი აუვარდა, ისევ ნაბიჯზე გადავიდა. აქეთ რომ მოდიოდა, ამინდიც მშრალი იყო, მზიანი, ტყიან ფერდობებზე შაშვები დაფრინავდნენ. გზის აქეთ-იქიდან ერთმანეთს გადასძახოდნენ ლამაზი სკვინჩა ჩიტები. ახლა ჩაჩუმებული, ჩაღუშული იყო ყველაფერი. აღმართი აკრთობდა, ეჩვენებოდა, რომ იქ, მაღლა, ბნელოდა, არც უამისობა იყო. ხის ტოტებში გახლართული ნისლი სულ რაღაც ხუთიოდე ნაბიჯის იქით ფუსფუსებდა და იწეწებოდა. პირველი მთა რომ გადაიარა, ხელი წაუცდა და ცოტა წააციცქნა პურს. მერე გაახსენდა, გადაწყვეტილი ჰქონდა, გზას რომ გაინახევრებდა, იქ შეეჭამა და თავი შეიკავა. „მთავარია, საჭმელზე არ ვიფიქრო“, – თქვა და აქეთ-იქით დაიწყო ყურება. ხელმარჯვნივ, მდინარის გაღმა სოფელი მოჩანდა. ბიჭს აღარაფერი აკრთობდა, მაგრამ გული მაინც დამძიმებული ჰქონდა. დეიდა ადარდებდა. დეიდასაც დამნაშავედ თვლიდა იმ ამბავში, რამაც გაპარვა გადააწყვეტინა, მაგრამ მაინც ადარდებდა. მოიკითხავდნენ, ვერ ნახავდნენ და გადაირეოდა საცოდავი ქალი! ბიჭსაც სწორედ ეს უნდოდა, მაგრამ მაინც დარდობდა.

„თუ გააკეთებ ასეთ რამეს, აღარც უნდა ინანო“, – დაასკვნა ბოლოს...

უკვე ფეხაჩქარებულს, პურზე ხელი ისევ წაუცდა. პატარა მოატეხა. გაახსენდა თავისი თავისთვის მიცემული პირობა და შერცხვა. ის პურის პატარა ნატეხი რამდენჯერმე გადაატრიალ-გადმოატრიალა. კინაღამ გადააგდო. მაგრამ მერე თქვა, „პურის გადაგდება არ შეიძლება“, და პირში იკრა. „ისევ ჯიბეში ჩაგედო“, – წამოეწია თითქოს სხვისი ხმა.

კითხვებზე გადასვლა: 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17; 18.

გომბორში დაბა-სოფლისთვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი სურათი დახვდა. ბაზარში სიცივით აბუზული რამდენიმე ქალი იდგა. ათიოდ ნაბიჯზე მაღაზია იყო, შევიდა და გამყიდველს საათი ჰკითხა. უკვე ოთხი ხდებოდა. ვერ გადაეწყვიტა, გზა განეგრძო თუ აქ სადმე დარჩენილიყო. მაინც სად უნდა დარჩენილიყო? ცრემლები მოერია, თავი შეეცოდა. მერე უცებ თავისი გადაწყვეტილება და ქადილი გაახსენდა – ღამეც ვივლიო. პალტო გაისწორა, პური ამოიღო, ღონივრად ჩაკბიჩა და ჩქარი ნაბიჯით წავიდა. ერთი ტყეღა ჰქონდა გასავლელი, გაივლიდა და სათავიანთოში იყო. გზა დაკარგა, გაწამდა, არაფერი გამოუვიდა. „მორჩა, გზის გაგრძელება აღარ შეიძლება. ხეზე უნდა ავიდე და იქ გავათენო“. ხეები იდუმალი სულებივით იდგნენ, ისინი ახლა ისეთივე უფორმო და უსხეულონი იყვნენ, როგორიც სიბნელე. თითები აბედივით გამომშრალ, შედარებით თბილ, ხეშეშა ქერქს შეახო. ეს მუხა იყო. ისე გაუხარდა, თითქოს ნაცნობ კეთილ მოხუცს შეხვედროდეს... მერე ააბობღდა ზედ. „შემინახე, კეთილო მუხავ!.. მთავარია, არ დამეძინოს. მე ბიჭი ვარ და არ უნდა დამეძინოს!“ – ფიქრობდა თავის კლასელებზე, უფრო გოგონებზე. რას არ გაიღებდა, იმათ სცოდნოდათ ახლა მისი აქ ყოფნის ამბავი. იქამდე მიიყვანა ფიქრმა, რომ კინაღამ ძირს არ ჩავიდა და გზა არ განაგრძო. ტყეში სიარული უფრო მეტი გმირობა იყო, ვიდრე აქ ჯდომა. მერე თავი იმით იმართლა, ამ კუნაპეტში კაცი როგორ ივლისო და ისევ თავის ადგილს მიენდო.

უცებ წყნარ, გაბმულ შრიალში მეხივით გავარდა ადამიანის ხმა. ბიჭი ფათაფუთით ჩამოხოხდა მუხიდან, ცრემლები ჩამოსდიოდა და ყვიროდა: „ძია! ძია!“ მერე ვიღაცამ ასანთს გაჰკრა. „ეუჰ, აქ რა გინდა, ბიჭოო!“ ორნი იყვნენ, ორივენი ცხენებზე ისხდნენ. ბიჭმა ორივენი იცნო...

კითხვებზე გადასვლა: 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17; 18.

მორჩენილიყვნენ გამოკითხვას, გაკვირვებას და დარიგებას. ცხენები ჯიქური ნაბიჯით მიარღვევდნენ სიბნელეს. ბიჭი კი იჯდა და... ის ხომ ცამეტი წლის იყო... ისევ ცრემლები ჩამოსდიოდა. ახლა მას ის ატირებდა, რომ საძაგლად უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილს უშველეს. უშველეს როგორც წყალწაღებულს, როგორც მათხოვარს. სულ ცოტა ხნის წინ კი გმირად გრძნობდა თავს, ყოველ შემთხვევაში, ისეთი რამე დაიწყო, რაზედაც ვერცერთი მისი ამხანაგი ვერ ამოიღებდა ხმას. ვერ შეძლო ამ საქმის თავის მობმა და ნელ-ნელა, მწარედ ჩამოსდიოდა სირცხვილის ცრემლი გაციებულ ლოყებზე.

კიდევ კარგი, რომ ბნელოდა და ამ ცრემლებს მაინც ვერ ხედავდნენ...

კითხვებზე გადასვლა: 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17; 18.

უპასუხეთ მოცემულ კითხვებს. პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება.
ოთხ-ოთხი სავარაუდო პასუხიდან აირჩიეთ **მხოლოდ ერთი**.
პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედებში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

(1) 10. „დეიდასაც დამნაშავედ თვლიდა იმ ამბავში, რამაც გაპარვა გადააწყვეტინა, მაგრამ მაინც ადარდებდა“. ამ ფრაზით ავტორი:

ა) მკითხველს აჩვენებს, რომ ბიჭს სინდისის ქენჯნა აწუხებს;

ბ) მკითხველს ოპტიმისტური ამბის მოსასმენად განაწყობს;

გ) მკითხველს უფროსი თაობის ქცევას კრიტიკულად აფასებინებს;

დ) მკითხველს ყურადღებას დეიდის „შეცდომაზე“ ამახვილებინებს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 11. რომელ ციტატაშია გამოყენებული მხატვრული საშუალება?

ა) „აღმართი აკრთობდა, ეჩვენებოდა, რომ იქ, მაღლა, ბნელოდა, არც უამისობა იყო“.

ბ) „გომბორში დაბა-სოფლისთვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი სურათი დახვდა“.

გ) „სოფლამდე ოცდახუთ კილომეტრზე მეტი ჰქონდა გასავლელი, თანაც თოვლჭყაპში“.

დ) „ტოტებში გახლართული ნისლი სულ რაღაც ხუთიოდე ნაბიჯის იქით ფუსფუსებდა და იწეწებოდა“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 12. რაში ირწმუნებს თავს ბიჭი მაშინ, როცა მოშიებული გადაწყვეტს, რომ პური არ შეჭამოს?

ა) საკუთარ გულწრფელობაში.

ბ) საკუთარ ნებისყოფაში.

გ) საკუთარ საზრიანობაში.

დ) საკუთარ სულგრძელობაში.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 13. რომელი ციტატა მიუთითებს მთავარი პერსონაჟის შინაგან გაორებაზე?

ა) „ერთი მიბრუნდა, მუქარითა და ბრაზით გახედა ნისლში მიკარგულ სახლებს და გამოიქცა“.

ბ) „ერთი ტყეღა ჰქონდა გასავლელი, გაივლიდა და სათავიანთოში იყო“.

გ) „თავი შეეცოდა. მერე უცებ თავისი გადაწყვეტილება და ქადილი გაახსენდა [...] და ჩქარი ნაბიჯით წავიდა“.

დ) „კიდევ კარგი, რომ ბნელოდა და ამ ცრემლებს მაინც ვერ ხედავდნენ“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) **14.** „თითები აბედივით გამომშრალ, [...] ხეშეშა ქერქს შეახო“. რომელი მხატვრული საშუალებაა გამოყენებული მოყვანილ წინადადებაში?

ა) ეპითეტი.

ბ) მეტაფორა.

გ) შედარება.

დ) ჰიპერბოლა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) **15. რომელ ციტატაში ჩანს მთავარი პერსონაჟის ბავშვური თავმომწონეობა?**

ა) „ბიჭს აღარაფერი აკრთობდა, მაგრამ გული მაინც დამძიმებული ჰქონდა“.

ბ) „ოთხი ხდებოდა. ვერ გადაეწყვიტა, გზა განეგრძო, თუ აქ სადმე დარჩენილიყო“.

გ) „რას არ გაიღებდა, იმათ სცოდნოდათ ახლა მისი აქ ყოფნის ამბავი“.

დ) „შემინახე, კეთილო მუხავ!.. მთავარია, არ დამეძინოს“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 16. მოთხრობის მთავარი პერსონაჟი ყველაზე მეტად განიცდის იმას, რომ:

ა) დეიდასთან სტუმრად ყოფნისას რაღაც აწყენინეს და ვერაფერი თქვა;

ბ) უშველეს როგორც წყალწაღებულს, არადა საკუთარი თავი გმირად მიაჩნდა;

გ) ტყეში შეხვედრილი ადამიანები გააკვირვა თავისი იქ ყოფნით;

დ) ტყეში შეხვედრილმა ადამიანებმა ვინაობა გამოჰკითხეს და ჭკუა დაარიგეს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 17. რა არის ის მთავარი რეალობა, რომელიც ბიჭმა დაინახა?

ა) დეიდა დამნაშავე ეგონა „იმ ამბავში“, მაგრამ სიმართლე სხვა რამ აღმოჩნდა.

ბ) მიხვდა, რომ განსაცდელში ადამიანებს მისი დახმარება ყოველთვის შეეძლოთ.

გ) საკუთარ თავზე სხვა წარმოდგენა ჰქონდა და სინამდვილეში სხვა აღმოჩნდა.

დ) უფროსებს ის ძალიან უყვარდათ და მათზე გაბრაზება უსაფუძვლო იყო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 18. რომელ მონაკვეთშია გადმოცემული მოთხრობის მთავარი სათქმელი?

ა) მოთხრობის დასაწყისში, როცა მთავარი პერსონაჟი სახლის ჩუმად დატოვების გადაწყვეტილებას იღებს.

ბ) მოთხრობის ფინალურ მონაკვეთში, როცა მთავარი პერსონაჟი განიცდის თავის მდგომარეობას.

გ) მონაკვეთში, რომელშიც გადმოცემულია მთავარი პერსონაჟის ფიქრები თანაკლასელების შესახებ.

დ) მონაკვეთში, რომელშიც ნაჩვენებია, რა განცდა უჩნდება ბავშვს ტყეში უფროსების დანახვისას.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(7) 19. ტექსტიდან ამოღებულია 7 წინადადება. აღადგინეთ ტექსტი ქვემოთ მოცემული წინადადებების მეშვეობით. გაითვალისწინეთ, 5 წინადადება ზედმეტია.

ლევილი

1921 წელს, გასაბჭოების შემდეგ, საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა ქვეყანა დაეტოვებინა და საფრანგეთში წასულიყო ემიგრაციაში. (1) --------. ბოლოს, 1922 წლის გაზაფხულზე, მათ პარიზთან ახლოს მდებარე დაბა ლევილს მიაგნეს. ემიგრანტებმა შეიძინეს მამული და ოჯახებთან ერთად იქვე დასახლდნენ. თავდაპირველად აქ ორმოცდაათამდე ქართველი ცხოვრობდა. ესენი ძირითადად იყვნენ მთავრობის წევრები თავიანთი ოჯახებითა და ნათესავებით. (2) -------.

ლევილის მამული დაახლოებით ოთხ ჰექტარზეა გაშენებული, რომელზეც დგას რამდენიმე შენობა ულამაზესი ბაღით. მის ცენტრში ქვითა და აგურით ნაგები ღია თამბაქოსფერი დიდი სასახლეა. (3) --------. მთავარ შენობასთან საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროშაა აღმართული.

ამ ადგილს საინტერესო ისტორია აქვს. თავდაპირველად იგი ეკუთვნოდა ერთ-ერთ თავადს, ფრანსუა ოლივიეს, რომელმაც შატო XV საუკუნეში ააშენა. მოგვიანებით აქ ცხოვრობდა ცნობილი ფრანგი პოლიტიკოსი ბერნარ-ჟერმან დე ლასეპედი, რომელიც ნაპოლეონის კანცლერი იყო. (4) --------. ამიტომ ფრანგებისათვის ლევილის შატო გამორჩეულ ადგილად ითვლება.

ქართველები ლევილში დასახლების შემდეგ ხშირად აძლევდნენ თავშესაფარს ემიგრანტ თანამემამულეებს. (5) --------. „შეფარებულებმა“ იცოდნენ, რომ ეს მამული საქართველოს საკუთრება იყო და ოდესმე კანონიერ მფლობელს აუცილებლად გადაეცემოდა. ამის შესახებ ნოე ჟორდანია თავის ანდერძშიც წერდა.

საქართველოსათვის ლევილის გადმოცემაზე საუბარი 1991 წლიდან – დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე – დაიწყო. (6) --------. ამით ქვეყანამ აიღო ვალდებულება, რომელიც მამულის იმჟამინდელმა მფლობელებმა წამოაყენეს. (7) --------. ლევილის მამულის რეკონსტრუქცია მალე დასრულდება.

გამოტოვებული წინადადებები:

ა) ამავე მიზეზით უვლიდნენ ისინი ქართულ საფლავებს.
ბ) ამ ემიგრანტებს ლევილის ქართველობა „შეფარებულებს“ უწოდებდა, რადგან მათ სხვაგან წასასვლელი არ ჰქონდათ.
გ) ამიტომ ერიდებოდნენ ისინი ლევილის სამლოცველოში ერთად შეკრებას.
დ) ეს დაბა ფრანგულ საისტორიო წყაროებში ჯერ კიდევ XII საუკუნიდან მოიხსენიება „ლუნვილად“.
ე) ეს ვალდებულება გულისხმობდა შატოში პირველი რესპუბლიკის მუზეუმის, ბიბლიოთეკისა და საკონფერენციო დარბაზის მოწყობას.
ვ) ლევილის გადმოცემის ღონისძიებას აგრეთვე ესწრებოდა ორი ფრანგი ნოტარიუსი.
ზ) მათმა შვილებმა იქვე ფრანგულენოვან სკოლაში დაიწყეს სიარული.
თ) მან ლევილის მამულში გაატარა სიცოცხლის ბოლო წლები და იქვე გარდაიცვალა.
ი) მთავრობის წევრები შესაფერის საცხოვრებელ ადგილს წელიწადზე მეტხანს ეძებდნენ.
კ) ოცდახუთწლიანი მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა და 2016 წლის სექტემბერში იგი საბოლოოდ გადმოეცა საქართველოს.
ლ) ჟორდანიასა და მის მთავრობას პირველად კრიტიკოსები საქართველოში გამოუჩნდნენ.
მ) სასახლის გარშემო ერთმანეთის მიყოლებით პატარა ერთსართულიანი სახლებია ჩამწკრივებული.

<u>ამ დავალების პასუხები პასუხების ფურცელზე გადაიტანეთ შემდეგნაირად:</u> მე-19 ნომრის გასწვრივ მოცემულ ცხრილში ყოველი წინადადების რიგით ნომერს შეუსაბამეთ იმ წინადადების აღმნიშვნელი ასო, რომელიც, თქვენი აზრით, ამ კონკრეტულ შემთხვევაშია გამოტოვებული და <u>გადამკვეთ უჯრედში</u> ჩასვით **X** ნიშანი.

(9) 20. წაიკითხეთ ტექსტი და გაარკვიეთ, ჩამოთვლილი წინადადებებიდან რომელი შეესაბამება ტექსტის შინაარსს და რომელი – არა. თუ წინადადება შეესაბამება ტექსტის შინაარსს, მიუთითეთ იმ აბზაცის ნომერი, რომელიც თქვენი პასუხის დამადასტურებელ ინფორმაციას შეიცავს *(გაითვალისწინეთ, თუ აბზაცის ნომერი სწორად არ იქნება მითითებული, შესაბამისი პასუხი არასწორად ჩაგეთვლებათ. ნიმუში მოცემულია).*

არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელზე!

წარმატებული მომავლის საწინდარი

1. სწავლის პროცესში უმნიშვნელო მომენტი თითქმის არ არსებობს. თუმცა უნდა გამოვყოთ ის, რის გარეშეც წარმოუდგენელია წარმატების მიღწევა. რა თქმა უნდა, ეს არის ოპტიმიზმი, მიზანსწრაფულობა, საკუთარი თავის შეცნობის უნარი. ოპტიმიზმი გულისხმობს ალტერნატიული გზების ძიებას მაშინ, როდესაც რაღაც საფრთხეები წარმოიქმნება. იგი მოტივაციის, ასევე საკუთარი თავის რწმენისა და თავდაჯერებულობის ერთობლიობაა, რაც რაიმე მიზნის მისაღწევად განხორციელებულ ქმედებებში გამოიხატება. მიუხედავად იმისა, რომ ძალზე მნიშვნელოვანია, რაიმე სირთულის დროს ბავშვმა სწორი და სწრაფი გამოსავლის პოვნა შეძლოს, უფრო ღირებული მაინც მოტივირებულობა და თავდაჯერებულობაა. მაგალითად, მოსწავლეები, რომელთაც აქვთ საკმარისზე მეტი მოტივაცია და ოპტიმიზმი, უკეთესი აკადემიური მიღწევებითა და ფსიქოლოგიური მაჩვენებლებით ხასიათდებიან.
2. მიზნის ქონა ზოგადად უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ადამიანის ცხოვრებაში. ცნობილია, რომ, როდესაც პიროვნება ისწრაფვის მიზნისაკენ, ის უფრო იმედიანი და ბედნიერია. შესაბამისად, როცა ბავშვებს აქვთ რაიმე მიზანი, უფრო მოტივირებულნი და თავდაჯერებულნი ხდებიან. აანალიზებენ იმას, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს მათს მომავალზე დღევანდელმა ქმედებამ. ამ შემთხვევაში ისინი უფრო მეტად და ხალისით ერთვებიან სასკოლო ცხოვრებაში, აქტიურობენ და ჯიუტად აგრძელებენ გზას მიზნისაკენ მიუხედავად იმისა, რომ წინ ბევრი წინააღმდეგობა ეღობებათ.

წინადადებებზე გადასვლა

3. მიზანსწრაფულობასა და ოპტიმისტურ განწყობაზე გავლენას ახდენს ის, თუ როგორ აფასებს პიროვნება საკუთარ თავს, შესაძლებლობებსა და შეხედულებებს. როგორც წესი, ადამიანი ნაკლებ ფიქრობს იმაზე, როგორ მოქმედებს ეს წარმოდგენები მის გადაწყვეტილებებსა და ქმედებებზე. არადა ეს ძალზე მნიშვნელოვანია. კვლევებმა აჩვენა, რომ მოსწავლეები, რომელთაც შეუძლიათ საკუთარ თავზე დაკვირვება, საკუთარი ქცევის გვერდიდან დანახვა, მისი კრიტიკულად შეფასება და მოვლენების ობიექტური აღქმა, გამოირჩევიან მეტი თავდაჯერებულობით და ადვილად უმკლავდებიან მარცხს.
4. მნიშვნელოვანია თანაგრძნობისა და პატიების უნარის ქონა არა მარტო სხვების, არამედ საკუთარი თავის მიმართაც. თუ ბავშვი ისწავლის საკუთარი თავისადმი თანაგრძნობას, თუ გააცნობიერებს, რომ შეცდომების დაშვება ადამიანურია, მაშინ უფრო ადვილად ირწმუნებს საკუთარ შესაძლებლობებს. კვლევის თანახმად, მოსწავლეები, რომლებიც საკუთარ თავს ხშირად განსჯიან ხოლმე, ნაკლებ ოპტიმისტები არიან სხვებთან შედარებით. მასწავლებელმა მიზნისაკენ სწრაფვის უნარი უნდა ჩაუნერგოს და დაარწმუნოს საკუთარ შესაძლებლობებში ისეთი მოსწავლე, რომელსაც ჩვევად აქვს თავის გამტყუნება ყოველი შეცდომისა თუ მარცხის დროს. ოპტიმიზმი, თავდაჯერებულობა, მიზანსწრაფულობა, საკუთარი თავის პატიების უნარი – ეს ყველაფერი წარმატებული მომავლის საწინდარია.

წინადადებებზე გადასვლა

წინადადების N	წინადადებები	დიახ	არა	აბზაცის N
0.	*ადამიანი ოპტიმიზმს ავლენს მაშინ, როცა ის რაიმე მიზნისაკენ მიისწრაფვის.*	*X*		*1*
1.	ადამიანი ხშირად ფიქრობს იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს მისი შეხედულებები მისსავე ქმედებებზე.			
2.	თავდაჯერებული და მოტივირებული მოსწავლე კარგი ფსიქოლოგიური მაჩვენებლებით ვერ გამოირჩევა.			
3.	თუ მოსწავლეს ეცოდინება, რომ შეცდომის დაშვება ჩვეულებრივი მოვლენაა, საკუთარ ძალებში დარწმუნება გაუჭირდება.			
4.	თუ მოსწავლეს მაღალი მოტივაცია აქვს, იგი აკადემიური მიღწევებითაც გამოირჩევა.			
5.	მიზნის მიღწევისაკენ სწრაფვა ბედნიერების განმაპირობებელი ფაქტორია.			
6.	მნიშვნელოვანია ადამიანს შეეძლოს თანაგრძნობის გამოხატვა არა მარტო სხვის, არამედ საკუთარი თავის მიმართაც.			
7.	მოსწავლე, რომელიც მუდმივად იდანაშაულებს თავს, მასწავლებელმა საკუთარ შესაძლებლობებში უნდა დაარწმუნოს.			
8.	მოსწავლეს, რომელსაც შეუძლია საკუთარი თავის კრიტიკულად შეფასება, მარცხთან გამკლავება უძნელდება.			
9.	როდესაც მოსწავლეს აქვს მიზანი, იგი უფრო აქტიურად ერთვება სასკოლო ცხოვრებაში და წინააღმდეგობები ვერ აშინებს.			

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

III. წერა (20 ქულა)

21. არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ქვემოთ მოცემულ მოსაზრებას ან უარყავით იგი:

ზოგი ფიქრობს – დიდი შეცდომაა, როდესაც მშობელი კმაყოფილია იმით, რომ ბავშვი მკაცრ ჩარჩოში ჰყავს მოქცეული (სკოლა, სპორტი, უცხოური ენა, სხვადასხვა წრე...) და მისი ყოველი წუთი დაგეგმილია.

N21 ანუ წერითი დავალების შესასრულებლად პასუხების ფურცელზე ერთი გვერდია დატოვებული. იმყოფინეთ ეს ადგილი!

ისევე, როგორც ყველა სხვა დავალებისათვის, წერითი დავალებისათვისაც შავი ვარიანტის დასაწერად შეგიძლიათ ცარიელი ფურცლები გამოიყენოთ.

არ დაგავიწყდეთ ნაშრომის გადატანა პასუხების ფურცელზე!

გაითვალისწინეთ, <u>100 სიტყვაზე ნაკლები მოცულობის</u> ნაშრომი VI (სინტაქსური კონსტრუქციები) და VII (მორფოლოგია, ორთოგრაფია, პუნქტუაცია) კრიტერიუმების მიხედვით <u>არ შეფასდება</u> და დაიწერება 0 ქულა.

IV. პროფესიული ცოდნა (20 ქულა)

(8) 22. ტექსტში დაშვებულია ორთოგრაფიული, მორფოლოგიური და სინტაქსური შეცდომები (სტრიქონში არაუმეტეს ერთისა). ზოგ სტრიქონში დაშვებულია შეცდომა, ზოგში – არა. სტრიქონების გასწვრივ მოცემულ ხაზებზე დაწერეთ სწორი ფორმები. თუ სტრიქონში შეცდომა არ არის, გააკეთეთ აღნიშვნა – √ *(ნიმუში მოცემულია).*

არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელზე!

ტექსტი	სწორი ვარიანტები
იტალიელი მისიონერი დონ კრისტოფორო დე კასტელი საქართველოში 1628-1654 წლებში	00. ---------- √ ----------
მოღვაწეობდა. მისმა უნიკალურმა ჩანახატებმა და არშიებზე გაკეთებულმა არა-ერთმა მინაწერმა	0. ------ არაერთმა ------
ბევრი საინტერესო ინფორმაცია შემოგვინახა მე-17-ე საუკუნის საქართველოს პოლიტიკური და	1. ----------
ეკონომიკური ცხოვრების შესახებ. ჩვენამდე მოაღწია კასტელის 500-ზე მეტმა ჩანახატმა. ეს	2. ----------
კოლექცია განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რადგან შეიცავს მრავალ ისეთ ცნობას,	3. ----------
რომელიც სხვა წყაროებში ასახული არ არის. როგორც კრისტოფორო დე კასტელის	4. ----------
მოგონებებისაგან ირკვევა, სამშობლოში გამგზავრებულს სურათების ერთი ალბომი გზაში	5. ----------
დაუკარგია. გადარჩენილი ნამუშევრების ნაწილი პირველად აბატმა მიხეილ თამარაშვილმა	6. ----------
გამოაქვეყნა იტალიაში. მანვე ჩამოიტანა საქართველოში ნახატების ფოტო-პირები. 1977 წელს	7. ----------
სურათების სრული კოლექცია წინასიტყვაობითა და შენიშვნებით გამოცა ბეჟან გიორგაძემ.	8. ----------

NN 23-30 დავალებების პასუხები უნდა დაწეროთ პასუხების ფურცელზე მხოლოდ ამ დავალებების ნომრების გასწვრივ მოცემულ ხაზებზე.
შავი სამუშაოს შესასრულებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ ცარიელი ფურცლები.
არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელზე!

გაითვალისწინეთ, NN 24-26 *დავალებების პასუხები დადებითად არ შეფასდება, თუ* არ დაწერთ *დავალების პირობის შესაბამის* განმარტებას.

(1) 23. მოსწავლემ განმარტა: *„დილა-საღამოს“ რთული სიტყვაა (კომპოზიტია), ამიტომ დეფისით იწერება.*
დააზუსტეთ მოსწავლის პასუხი.

(1) 24. განუმარტეთ მოსწავლეს, როგორ გაარკვიოს, რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული სიტყვა.
<u>ბავშვთა</u> ანსამბლი.

(1) 25. მოსწავლემ დაწერა წინადადება: *ეს საჩუქრები ძია გურამიმ გამოგვიგზავნა.*
განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(1) 26. წაიკითხეთ წინადადება: *სამანქანო გზა . . . ჩაიკეტა, რომ დიდი თოვლი მოვიდა.*
მოსწავლეს ევალება გაარკვიოს, რომელი სიტყვაა გამოტოვებული მოცემულ წინადადებაში: *იმისათვის* **თუ** *იმიტომ.*
განუმარტეთ მას, რა უნდა იცოდეს, რომ სწორად შეასრულოს დავალება.

(2) 27. დაასახელეთ, ნაცვალსახელთა რომელ ჯგუფებს მიეკუთვნება ხაზგასმული სიტყვები ქვემოთ მოცემულ წინადადებებში:

1. <u>ის</u> საოჯახო ალბომს ათვალიერებს.

2. <u>ის</u> საოჯახო ალბომი მე უკვე დავათვალიერე.

(2) 28. დაასახელეთ, რომელი ორი გრამატიკული კატეგორიით განსხვავდება ერთმანეთისაგან ზმნები:

იშენებს და უშენებს.

(2) 29. ა) გაარკვიეთ, ქვემოთ მოცემული მარტივი წინადადებებიდან რომელია გავრცობილი, რომელი – გაუვრცობელი.

1. მეგობრებმა ჩოგბურთელს გამარჯვება მიულოცეს.

2. დღეს თბილა.

ბ) განუმარტეთ მოსწავლეს, როგორ გაარკვიოს, მარტივი წინადადება გავრცობილია თუ გაუვრცობელი.

(2) 30. მოსწავლემ დაწერა წინადადება: *გაკვეთილზე აქტიურობას ყველა ცდილობდნენ.*

ა) რა ტიპის შეცდომა დაუშვა მოსწავლემ?

ბ) განუმარტეთ მას, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.